საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 5 23 00026204

11/09/2023

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არ ყოფილა ასახული საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საშემოდგომო სესიისათვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, შემდეგი გარემოების გამო:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აღიარებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსად და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობები სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება. წლების განმავლობაში, საგამოძიებო უწყებები იძიებენ არაერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების დანაშაულებრივი გზით მოპოვებას და შესაბამისად, არაერთ პირს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამგვარი დანაშაულის ჩადენისათვის.

ამგვარი ტიპის დანაშაულთა რაოდენობის მხედველობაში მიღებით, აუცილებელი გახდა, სახელმწიფოს გადაედგა გარკვეული ნაბიჯები სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაბრუნების მიზნით, რომლებზედაც კერძო პირებმა დანაშაულებრივი გზით მოიპოვეს საკუთრების უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა საკითხის მოგვარების ალტერნატივების შესწავლა, ვინაიდან, მხოლოდ საგამოძიებო უფლებამოსილება და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი უკანონოდ მოპოვებულ მიწებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების აღდგენის ერთადერთ ეფექტიან საშუალებად ვერ ჩაითვალა. შესაბამისად, ამნისტიის აქტი, როგორც ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიება, ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა განხილულ ალტერნატივებს შორის, რაც გამოიკვეთა 2023 წლის საშემოდგომო სესიისათვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტისათვის წარმოდგენის შემდგომ.

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA
ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მომზადდა ამნისტიის აქტის პროექტი, რომელიც ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ამნისტიის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან იმ პირთა გათავისუფლებას, რომლებმაც 2023 წლის 1 სექტემბრამდე დანაშაულებრივი გზით მოიპოვეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, მათი ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე ან/და 362-ე მუხლით (გარდა მოხელის მიერ, ასევე, სახელმწიფო საწარმოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების (რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას) მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისა) და თუ ისინი სანაცვლოდ 2024 წლის 1 სექტემბრამდე სრულად აანაზღაურებენ დანაშაულის ჩადენის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზიანს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი